ეკონომიკური ზრდის ტემპი

I კვარტალი, 2022 წელი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის I კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი დადებითი იქნება და 9.3% დაფიქსირდება. მშპ-ის მოსალოდნელი ზრდა 2022 წლის დასაწყისში განპირობებულია წინა წელს დაწყებული გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებით და ე.წ. 2021 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკის შემცირების საბაზისო ეფექტით (2021 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკა შემცირდა 4.1%-ით), რომელიც COVID-19 პანდემიით იქნა გამოწვეული. სხვადასხვა ტიპის შეზღუდვების მოსალოდნელი გაუქმების პარალელურად, ასევე მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის ტემპის გამოცოცხლებაც.

აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებებს, რომ 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით:

⇒ ტურიზმის **მოცულობა დაახლოებით 4.3-ჯერ გაიზრდება** (2019 წლის I კვარტლის პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 2.4-ჯერ ნაკლები). ამავე დროს **უმნიშვნელოდ გაიზრდება ქვეყნიდან გასული ვიზიტორების რიცხოვნობაც**.

⇒ ტურიზმის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად **კვლავ შენარჩუნდება** შიდა ტურიზმის აქტივობა.

⇒ **გაიზრდება როგორც კერძო მოხმარების, ისე ინვესტიციების მოცულობა,** რაც განაპირობებს მთლიანი მოხმარების და ინვესტიციების ზრდას და ეკონომიკური აქტივობის აღნიშნულ დადებით ტემპს.



*პროგნოზის ინტერვალი აღნიშნავს დიაპაზონს, რომელშიც მშპ-ის ზრდის ტემპი იქნება მოცემული. ინტერვალის შეფასება მიღებულია ცენტრალური პროგნოზისა და გასული წლების კვარტალური ეკონომიკური ზრდებიდან ±0.5 სტანდარტული გადახრის ჯამით.

⇒ მომსახურებით ვაჭრობის მკვეთრი ზრდის პარალელურად, მოსალოდნელია საქონლით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდაც.
⇒ გაზრდილი მოხმარების პარალელურად მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად **გაიზრდება საქონლის იმპორტის რაოდენობაც**.
⇒ გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების ფონზე მოსალოდნელია, რომ გაიზრდება ექსპორტზე მოთხოვნა და შესაბამისად, **გაიზრდება საქონლის ექსპორტის მოცულობაც.**

აღნიშნული დაშვებების რაოდენობრივი შეფასების შედეგად მოსალოდნელია, რომ 2022 წლის პირველ კვარტალში ექსპორტის მოცულობა უფრო მეტად გაიზრდება, ვიდრე იმპორტი და წმინდა ექსპორტის კომპონენტი 0.7%-ული პუნქტით განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებას, ხოლო აბსორბციის (მოხმარების და ინვესტიციების ჯამი) კომპონენტი მნიშვნელოვნად გაიზრდება და მშპ-ის ცვლილებას 8.6%-ული პუნქტით განაპირობებს*. საბიუჯეტო ოფისის მიხედვით, 2021 წლის მე-4 კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასებაში წმინდა ექსპორტი 2.3%-ული პუნქტით, ხოლო აბსორბციის კომპონენტი 7.2%-ული პუნქტით განისაზღვრა.



*2022 წლის I კვარტლის მშპ-ის ზრდის დეკომპოზიცია. საბიუჯეტო ოფისის შეფასება.

დამატებითი ინფორმაცია:

- წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები
- განმარტება მაკროეკონომიკური პროგნოზების მოდელის შესახებ